1877—1895

№ 32

სამშაბათი, 14 თებერვალი 1895

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 32

სამშაბათი, 14 თებერვალი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

## წლიური საზოგადო კრება.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების 11 §-სა, დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 11-ს საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1893 წლ. 1 ენკენისთვემდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა თავ. ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბროსეს პრემიის თანხის მოხმარების შესახებ.

5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

(3—6—3)

## ტფილისი, 14 თებერვალი.

საკრედიტო დაწესებულებანი თუმცა დიდი ხანია, რაც არსებობენ, თუმცა სახელდობრ, საადგილ-მამულო დაწესებულებანი პირველად 1770 წელში დაფუძნდნენ, მაგრამ ჯერაც კიდევ ბევრი ისეთი გარემოება ახლავს ამ დაწესებულებათ, რომელსაც გამოძიება, გამოკვლევა და შესაფერს დონეზედ დაყენება ეჭირვება. საკრედიტო საგანი ამ უკანასკნელს ხანებში მრავალის მხრით გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი შრომა და მუშაობა უნდა, რომ სანატრელს მდგომარეობაში ჩადგეს. პირველი და უახლოვესი მოთხოვნილება ყოველ გვარის კრედიტისა—მისი სიიაფე და ადვილად მოპოვება არის. მაგრამ ჯერ ეს მოთხოვნილებაცკი არ არის საკმაოდ დაკმაყოფილებული.

მთელი საზოგადოებანი და სახელმწიფონიც იმისს ცდაში არიან, რომ კრედიტიც გააიაფონ და ადვილადაც მიაშველონ მთხოვნელთ. ამისთვის ადგენენ კონვერსიებს, ამცირებენ საკრედიტო დაწესებულების ხარჯს, ჰგზავნიან აგენტებს პროვინციებში, რამდენადაც შესაძლებელია, დეცენტრალიზაცია შეაქვთ საქმის წარმოებაში და ამ გვარად ცდილობენ უსაჭიროესი მოთხოვნილება დააკმაყოფილონ.

მაგრამ აწინდელს კრედიტს ბევრი ისეთი სხვა სუსტი მხარეცა აქვს, რომლის აცდენას ან ძალიან ნაკლებად და ან სრულიადაც არ შესდგომიან ჯერ ჯერობით. დღეს ჩვენა გვსურს ერთს ისეთს ნაკლზედ ვილაპარაკოთ, რომელიც საადგილ-მამულო კრედიტს მოსდევს და რომლის აცდენას, ასე თუ ისე შესწორებას დიდი და დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენის სამშობლოსათვის.

საადგილ-მამულო კრედიტს, როგორც საზოგადოდ ყოველ რეალურ კრედიტს ე. ი. უძრავ და მოძრავ ქონების დაწინდებაზედ დამყარებულს, ერთი გარემოება ახლავს თან, რომელსაც საკუთრებათა მობილიზაციას უწოდებენ. მობილიზაცია, ე. ი საკუთრების ერთის პატრონისაგან მეორის ხელში გადასვლა — აუცილებელი სენია, საადგილ-მამულო კრედიტით გამოწვეული.

რაც გინდა კარგად იყოს მოწყობილი საკრედიტო დაწესებულება, რაც გინდა კარგად იყოს წარმართული საადგილ-მამულო ბანკი— მობილიზაცია ქონებისა მაინც აუცილებელია. ეს ისეთი სენია, რომელიც ხშირად დიდის ვნების მომტანია არა მარტო კერძო მეპატრონეთათვის, არამედ მთელის საზოგადოებისა და ერისათვისაც. ეს ისეთი სენია, რომელიც ბევრს სასოწარკვეთილებაში აგდებს და ათქმევინებს, რომ საკრედიტო დაწესებულება სავნებელიაო. მაგრამ ამავე დროს ეს ისეთი სენია, რომლის სასარგებლოდ გამოყენება შესაძლებელი და სასურველიც არის. ეს პირველი მაგალითი არ იქმნება იმისი, რომ ზოგიერთთ კეთილ განზრახვით აგებულს დაწესებულებებს ცუდი შედეგი მოჰყვება ხოლმე, მაგალ., ყველასაგან ცნობილია ის გარემოება, რომ შრომის განაწილებას საპატიო ალაგი უჭირავს აწინდელს პროგრესში. მაგრამ ყველასაგანვე ცნობილია ისიც, რომ ამ შრომის დანაწილებას ერთი ისეთი საზარელი თვისება დაერთვის, რომელიც ადამიანის გონებისა და ზნეობის დამამცირებელია. მაგრამ, როგორც აქ, ისე ქონების მობილიზაციის ცუდის შედეგების ასაცდენად მოგონილია ისეთი საშუალებანი, რომლითაც არამც თუ ეს ცუდი თვისებანი შემცირებულარიან, არამედ მათი სასიკეთოდ მოხმარება შესაძლებელი გახდა. როგორც უმწვერვალესი დანაწილება შრომისა იქამდის მიიყვანს მუშას, რომ მისთვის საზარელი სპეციალიზაცია და დიდხანს შრომა საჭირო აღარ იქმნება, ისევე სამეურნეო კრედიტით გამოწვეული მობილიზაცია, ქონების ერთის პატრონისაგან მეორესთან გადასვლა შეიძლება ისე მოიწყოს, რომ დღევანდელი სამწუხარო მოვლენა ხვალ სასიკეთოდ გარდაიქცეს. რაკი ეს მოხდება, მაშინ ხომ საადგილ-მამულო კრედიტის დაწესებულებას —ერთი მავნებელი თვისება მოაკლდება. ხოლო, როგორ უნდა გამოვიყენოთ მამულის ერთის ხელიდგან მეორე ხელში გადასვლა, ამაზედ იმედი გვაქვს მალე მოვილაპარაკებთ.

—ლი—გ.

## ახალი ამბავი

*** პარასკევს, 24 თებერვალს, აკურთხეს საძირკველი მომავალ ყარსის რკინის გზის ხიდისა, ნათლუხის ბოლოში (ესრედ წოდებულ ქვემო-წმიდის ბარბარეს გვერდზედ). ბურჯისათვის შიგ შუა მტკვარში ამოიღეს კლდე, რომლის გარეშემოც წყალი მიწით გაჭედილის ხის კედლებით შეაგუბეს. კურთხევას დაესწრნენ: მთავარ-მართებელი შერემეტევი, მისი თანაშემწე ტატიშჩევი, რკინის გზის უფროსი ინჟინერები და სხვანი. საძირკველი აკურთხა რკინის გზის მღვდელმა ნანაბოვმა. როგორც წარმომადგენელთათვის აგრეთვე მომუშავეთათვის გამართული იყო საუზმე. მშვენიერად იყო მორთული ბაირაღებით ოთახი, სადაც შეექცნენ საუზმეს წარმომადგენლები— მუშებისათვის-კი იქაური დუქნის ფარდული იყო შემოზღუდული ტილოებით. როგორც ამბობენ, ქვის მუშაობას მაისის გასულამდის დაასრულებენ.

*** ჩვენ მოგვივიდა კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის მიერ მესამედ გამოცემული პატარა წიგნაკი ,,საყმაწვილო ბიბლიოთეკა". ამ წიგნში მოთავსებულია ჩვენის პოეტების საუკეთესო საყმაწვილო ლექსები შეკრებილი კ. ოცხანელის მიერ. წიგნაკი 47 გვერდს შეიცავს და ღირს ერთი შაური.

*** დიდის ამბით იდღესასწაულეს ბ-ნ ფორკატის ,,დღეობა". მობენეფისეს მრავალი საჩუქარი მიართვეს. ფორკატი დიდად ნასიამოვნები დარჩა და მოკლე სიტყვით მიჰმართა საზოგადოებას, რომლითაც მადლობა გამოუცხადა და სთქვა, რომ რვა წელიწადია რაც ტფილისს ვემსახურები და კიდევ ვემსახურები, თუ კი ისევ ანტრეპრენიორად დავრჩებიო. ,,ნოვ. ობოზ."

*** ამ დღეებშიო, იწერებიან დ. სურამიდგან, ერთმა ამბავმა მთელი აქაური მცხოვრებლები შეაძრწუნა. აქ დროებით ტფილისის მოქალაქე ი. ს. მანველოვი სცხოვრებდა, რომელიც ზოგიერთა ვალების ასაღებად ჩამოვიდა სურამში. სხვათა შორის, მანველოვს ჰქონდა ასაღები ფული სასამართლოს გარდაწყვეტილებით ერთს მახლობელს სოფელში. გარდაწყვეტილების ფურცელი ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლის მდივნის თანაშემწეს ბ-ნს ზავგოროდნის გარდასცეს თურმე, რომელიც ხან-დის-ხან სასამართლოს ბოქაულის თანამდებობას ასრულებდა ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ მანველოვმა არა ერთხელ მოაგონა ზავგოროდნის თვისი მოვალეობა, იგი მაინც უყურადღებოდ სტოვებდა თურმე აღსრულებითს ფურცელს და საგზაო ფულს სთხოვდა მანველოვს, რომელიც თავისის მხრივ არწმუნებდა, რომ ფული უკვე გარდახდილიაო. ბოლოს, 8 თებერვალს, მანველოვმა ფურცელი უკან მოსთხოვა. ზავგოროდნიმ მანველოვი სახლში გაიწვია, სადაც აღსრულებითი ფურცელი თურმე უნდა ჩაებარებინა. აქ ზავგოროდნის და მანველოვს ლაპარაკი მოუვიდათ, რომლის შემდეგაც ზავგოროდნიმ ცემა დაუწყო მანველოვს; როდესაც ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ საჩივარს შევიტან შენზედ ასეთის შეურაცხყოფისათვისაო, ზავგოროდნი მეორე ოთახში თურმე გავარდა და ხანჯალი გამოიტანა. მანველოვი მაშინვე კარებს ეცა, მაგრამ ზავგოროდნიმ მაინც მოასწრო დაკვრა და დასჭრა. სიკვდილს მანველოვი მავთულებიანმა ქუდმა გადაარჩინა, რომელმაც შესამჩნევად შეასუსტა ხანჯლის ძალა. ასე გასისხლიანებული გამოვარდა მანველოვი გარედ ეზოში, სადაც მას ორი მისი ამხანაგი თურმე უცდიდა, მანველოვი მაშინვე სასტუმროში წაიყვანეს და ექიმი მოიწვიეს; სისხლის დენა მალე შეუწყვიტეს. რა შედეგი მოჰყვება ამ ჭრილობას, ეს ჯერ ძნელი სათქმელია. სოფლის მამასახლისმა განაჩენი შეადგინა და დეპეშით აცნობა ხაშურის ბოქაულს. მანველოვის მეგობრებმა კიდევ ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს აცნობეს ეს ამბავი დეპეშით.

*** 10 თებერვლიდგან კავკასიის მთავარ მართებლის სასახლეში გაიხსნა ვაჭრობა საბავშო დღესასწაულით. შემოსავალი დანიშნულია „ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების“ სასარგებლოდ.

*** დღეს 14 თებერვალს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას საღამოს $7^1/_2$ საათზედ, მორიგი კრება აქვს დანიშნული. კრება მოისმენს თავ. ანდრონიკაშვილის მოხსენებას იმის შესახებ, რომ დაარსებულ-იქმნას განსაკუთრებული ბიურო, რომლის საშუალებითაც შეძლება მიეცეს სოფ -ის მეურნეს თავისი ნაწარმოები დროზედ გაჰყიდოს ხოლმე 2) კომისიის მოხსენებას ,,გამოცდა გუთნებისა.

კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** ს. ერკეთი, (გურია): ცრუ განათლებამ სხვა სიკეთესთან «ბანქოს თამაშობაც» გვასწავლა. ჩვენის სოფლის ახალგაზდობა საშინლად შეეჩვია ამ მავნებელს ხელობას, შეიყრებიან ხოლმე ერთად აქაურს დუქნებში და მთელს ღამეებს ათენებენ. შეუფერებელია და უწესო ლაპარაკის გარდა ხშირად ქამარ-ხანჯალსაც აგირავებენ ხოლმე ეს „თავმომწონე გურულები“ და ამ გვარად თავისს ვაჟკაცობას ,,ბანქოს" უქვემდებარებენ. ურიგო არ იქმნება კეთილ-ინებოს ჩვენმა ბოქაულმა და ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

*** მცხეთა: 9 თებერვალს ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. შიომღვიმელის მონასტერში მიდიოდა სალოცავად 48 წლის ქალი. ამ ქალს დაედევნა რკინის გზის დარაჯი ივანე ბაგოშვილი. ჯერ გააუპატიურა და მერე წაართვა, რაც ჰქონდა. ქალის საშინელი კივილი გაეგო რკინის გზის ჟანდარმს; წასულიყო იქით, საიდგანაც კივილი მოისმოდა და ცოცხალმკვდარი-კი გაეგდებინებინა ხელიდგან. ივანე ბაგოშვილი შეიპყრეს.

*** ნატანები: 12 თებერვალს, ღამის 3 საათზედ მე-67 ვერსზედ საქონლის მატარებელმა გასრისა რკინის გზის დარაჯი ოზურგეთის მცხოვრები ერმოლოზ ტროპაიძე, რომელსაც რკინის გზის ლიანდაგზედ დასძინებოდა მატარებლის ცდაში.

*** განჯა: 12 თებერვალს რკინის გზის კონდუქტორებს ჩხუბი მოუვიდათ ივანე ზვიაშნცევს და ივანე იაკიმენკოს. პირველმა მეორეს დასაგველი ჩოთქი დაჰკრა საფეთქელში, რომელიც 15 წამის შემდეგ გარდაიცვალა.

*** ბათუმი: 10 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, მე-97 ვერსზედ ხამსონ ადამია ხიდზედ მიდიოდა, უცაბედად ფეხი დაუცდა და ხრამში გადავარდა. ადამია ძლიერ დაშავდა.

*** საღუეთი (ქიათურა): 8 თებერვალს, დილის 7 საათსა და 35 წუთზედ 13 მარგანეცის ვაგონი დაიმტვრა.

*** ბოსლევი (ქიათურა): 7 თებერვალს საღამოს 7 საათზედ 30 წ. ორი ვაგონი გადასცდა ლიანდაგს, რომელშიაც მგზავრები ისხდნენ. სამი მგზავრი დაშავდა.

*** ვარშავიდგან სწერენ მოსკოვის უწყებას, რომ პოლონელთა წიგნის მაღაზიებში ყოველს ენაზედ დასტამბული წიგნები მოიპოვება რუსულს გარდა, ხოლო რუსულს ენაზედ დასტამბული წინგები, ან ჟურნალ-გაზეთები არა თუ არ მოიპოვება, მაღაზიის პატრონნი უარს ეუბნებიან რუსულ ენაზედ დასტამბულ წიგნების გამოწერისას იმათ, ვისაც სურვილი აქვს ეს წიგნები ან ჟურნალ-გაზეთები ამ მაღაზიების საშუალებით გამოიწერონო.

## კორესპონდენცია.

**დ. ყვირილა.** გუშინ, 10 თებერვალს, ჩამოვიდა ამბავი, რომ 11 თებერვალს, დილის 8 საათზედ უნდა

ჩამოეტანათ ზესტაფონში ტფილისიდგან უკვე გარდაცვალებული უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონი. ეს ამბავი უეცრად გავრცელდა როგორც დაბაში, აგრეთვე უახლოებლესს სოფლებში. დღეს, 11 თებერვალს, დილის რვა საათზედ ყვირილის რკინის გზის სადგური გავსებული იყო ხალხით. თავი მოეყარათ ყველა აქაურს მოსამსახურე ჩინოვნიკობას, ვაჭრებს, უახლოებლეს სოფლების თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას და გლეხებს. ბევრი ქ. ქუთაისიდგან მოსული იყვნენ. რკინის გზის სადგურზედ დიდი ტირილი და მოთქმა იყო. შესრულდა მეათე საათის ნახევარი და მოასვენეს სადგურზედ საგანგებო მატარებლით მიცვალებული, როდესაც მატარებელი ხალხმა დაინახა, შეიქმნა დიდი ზრიალი, ქალებისა და კაცების ხმას ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდით. მატარებლიდგან ჩამოასვენეს გარდაცვალებული სადგურზედ, სადაც გარდახდილ-იქმნა პანაშვიდი. თუმცა შავით შემოსილს ეტლზედ დადგმული ბალდახინი მზად დაჰხვდა განსვენებულს, მაგრამ შემდეგ პანაშვიდისა განსვენებული წაასვენეს თავისს სოფელს ღვანკითში ხელით. მთელის ზესტაფონის ქუჩები გატენილი იყო ხალხით, რომელიც გულითადის მწუხარებით და ვაი-ვაგლახით მიჰყვებოდა ბატონიშვილს.

ი—ნი.

—

**ქ. ბაქო.** ამა თებერვლის ოთხს საზოგადოების საკრებულო დარბაზში ამავე ქალაქის ქართველ მცხოვრებლების თაოსნობით გამართულ-იქმნა „ქართული საღამო“ სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საქმეების შესაწევნელად. სხვათა შორის ამ ქართულს საღამოზედ იყვნენ მოწვეულნი გურიიდგან საუკეთესო მომღერალნი და მოთამაშენი სახელდობრ: სამუელ და ილარიონ ჩავლეიშვილები, ივლიანე კეჭაყმაძე, გიორგი ტრაპაიძე და ლუკა სიმონიშვილი, რომელთა სიმღერებმა და თამაშობამ ამ საღამოს დამსწრე საზოგადოება დიდს ალტაცებაში მოიყვანა. შემოსავალი ამ ქართულს საღამოზედ იყო არა ნაკლებ 4,000 მანეთისა. (?) იმედია, ჩვენი პატარა საზოგადოება ასეთს ქართულს საღამოებს გაჰმართავს უფრო ხშირ-ხშირად ამავე აზრით და მით აღმოუჩენს საშუალებას სხვა-და-სხვა საჭირო საქმეებს.

ვ. დუმბაძე.

8 თებერვალი 1895 წელს.

—

**დ. აბაშა,** (სენაკის მაზრა). ამ ოთხის წლის წინად დ. აბაშაში და სუჯუნაში ქართულის სცენის მოყვარულთაგან გამართულ-იქმნა წარმოდგენა. წარმოადგინეს ცაგარლის კომედია „ბაიყუში“. შემოსავალი ამ წარმოდგენიდგან გადადებულ-იქმნა აბაშის მომავალ საჯარო წიგნთ-საცავის დასაარსებლად და ამიტომაც ამ წარმოდგენიდგან შემოსული ფული აბაშის სამრევლო სკოლის მასწავლებელს რ. შომახიას გარდაეცა დანიშნულებისამებრ საწარმოებლად, ადგილობრივ ბოქაულისა და სხვათა თანადასწრებით. პირველს ხანებში დიდის სიხარულით და გულ-მხურვალედ მოჰკიდა ხელი ბ. შომახიამ, გამოაცხადა გაზეთს «ივერიაში» შესახებ წიგნთ-საცავის დაარსებისა და სთხოვდა ყველას შემწეობას ამ საქველ-მოქმედო საქმეში ფულით იქნებოდა თუ წიგნებით. მართლაც, ბ-ნ შომახიას იმედი არ გაუცრუვდა. მალე ს. ტყიბულში შეკრებილი ოც-და-ათი მანეთი მიიღო (არ მახსოვს კარგად, მეტი იყო თუ ნაკლები, მაგრამ, მგონია, მეტი იყო). აგრეთვე არ დაიშურეს თავისი წვლილი იქაურმა ახლო მახლო მცხოვრებლებმა, ვისაც რამდენი შეეძლო (ზოგმა ფული, ზოგმა წიგნები გამოუგზავნა). ასე რომ კარგა ძალი ფული და წიგნები შეგროვდა, რომლითაც შეგვეძლო წიგნთ-საცავი დაგვეფუძნებინა. მაგრამ... აგერ მეოთხე წელიწადია მას შემდეგ და წიგნთ-საცავი-კი არსადა სჩანს. ამ საქმისათვის შეგროვილი ფულები ჩაილეულის წყალმა წაიღო. ჩვენგან არჩეულმა და პატიოსან კაცად ცნობილმა ბ-ნმა შომახიამ იმედი არ გაგვიმართლა და საზოგადო საქმე თავისს პირადობას ანაცვალა.

ვერცხლის მოყვარეობამ იგი იქამდის მიიყვანა, რომ დაავიწყა ყოველივე პატიოსნება. ამასთანავე ისე უზრდელად იქცევა, რომ არც-კი უნდა შეგვატყობინოს, რა დაემართა ჩვენგან შეკრებილს ფულებს? აი აგერ კვირა კვირას ემატება, თვეები თვეებს, მაგრამ მაინც არა სჩანს-რა. გამოვაცხადეთ გაზ. «ივერიაში» ამის შესახებ, ვითხოვდით პასუხს ბ-ნ შომახიასაგან, მაგრამ ვისთვის რა მიგიბარებია!? რას თხოულობ? გვეკითხებიან დღესაც, თუ რა შედეგი მოყვა ჩვენს განზრახვას? ან სად წავიდა ამდენი ფულები. მე, თქვენს უმორჩილესს მონას, როგორც წევრს ამ პატარა წრისას, ზნეობრივი მოვალეობა, მაიძულებს მოვთხოვო ბ-ნს შომახიას: რას აპირებს იგი? გადაიხდის ამ ზემოხსენებულს ფულებს თუ არა? თუ არ გადაიხდის პასუხი მაინც გვაღირსოს და მით საზოგადოების წინაშე თავისი თავი და სხვაც პირნათლად გამოიყვანოს. ვიმედოვნებთ, რომ ბ-ნი შომახია. ახლა მაინც ამოიღებს ხმასა.

ერთი წევრთაგანი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

თავად-აზნაურობის საქმე ცუდად არისო! აი ის ხმა, რომელიც ამ უკანასკნელს ხანებში ყოველ მხრივ გაისმის. თავად-აზნაურობის ქონებით და სხვაფრივაც დაქვეითება ერთი ისეთი თვალ-საჩინო გარემოება არის, რომ რუსეთის იმპერიაში მას თითქმის არავინა ჰყოფს უარს. სასოწარკვეთილნი თავად-აზნაურნი ეხლა ყველგან იმის ცდაში არიან, როგორმე შეიმსუბუქონ უკიდურესი მდგომარეობა, რომელშიაც ჩაცვივნულან „სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ყველგან უებარის წამლის ძებნაში არიან, რომელმაც უნდა მოსპოს თავად-აზნაურობაში გავრცელებული სენი და რომელსაც ეწოდება: წარჩინებულის წოდების მშრალზედ, უმიწა-წყლოდ დარჩენა.

ამ წამლის ძიებას ნიჟეგოროდის თავად-აზნაურობა შესდგომია.

გუბერნიის მარშალმა მიჰმართა თავად-აზნაურობასა და ურჩია,—ამბობს „ნოვ. ვრ.“, რაიმე საშუალება გამოძებნეთ, რომ აწინდელი მდგომარეობა როგორმე შევუმსუბუქოთ თავად-აზნაურსა. იქნება ამისთვის საჭირო იყოს, რომ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკში მარტო 3% გარდაჰხდეს ხოლმე, დაგირავებულს მამულებში მეტი ფული მოგვცენ, ესე 85%-დე, მამულები საჯარო ვაჭრობით-კი არ იყიდებოდეს ბანკში, არამედ ოპეკაში იყოს მიცემული, ნება მიეცეს თავად აზნაურობას სახელმწიფო ბანკის დახმარებით მამულების სყიდვისა, საერთო მოსახმარად და სხვა.

ზემოდ მოხსენებულს საგნებზედ ასტყდა კრებაზედ ბაასი და მათ საწინააღმდეგოდ ილაპარაკა სხვათა შორის პროფესორმა მარკოვნიკოვმა. მარტო 3% რომ ახდევინოს სახელმწიფო ბანკმა, ეს არ ივარგებსო, რადგან მაშინ მდაბიო ხალხი დიდს ზარალსა ნახავსო. რომ უფრო კარგად განეხილათ მარშლის წინადადებანი, ნიჟეგოროდის კრებამ კომისია აირჩია. სასურველია, მართლა ამ კომისიამ რამე მალამო მოუძებნოს თავად-აზნაურობის გაჭირვებას, მხოლოდ ისეთი მალამო-კი იყოს, რომ სხვას ვნება არ მოუტანოს.

კერძოთ ჩვენ-კი გვგონია, რომ ეს კომისია ახალს ვერას ურჩევს თავისს წოდებას, იმის მეტს, რაც არა-ერთხელ თქმულა: მხოლოდ პატიოსანი შრომა და განათლება არის ყოველის წოდების წარმატების მიმნიჭებელი. მაგრამ ბანკიდგან ფულის გამოტანის სურვილი 3%, ე. ი. იმ სარგებლად, რომელზედ მეტსაც თითონ ბანკი იხდის, ეს-კი სწორედ რომ ნამდვილი უაზრო ოცნება არის.

—

ხმა დადის, რომ სასჯულო საქმეთა მინისტრი ბ- მურავიოვი ამ გაზაფხულზედ რევიზიას მოახდენს ხარკოვისა, კიევისა, ოდესისა და კავკასიის სამოსამართლო ოლქებში.

—

«ნოვოე ვრემია» იუწყება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუმუშავებია კანონ-პროექტი—რა რიგად უნდა მოეწყოს ეგრედ წოდებული საზოგადოდ სახნავები (общественныя запашки). სამინისტროს განზრახვა აქვს დიდი შეღავათი აღმოუჩინოს იმ გლეხთ, რომელნიც ისურვებენ საზოგადო სახნავები გაიჩინონ.

## ნარევი

სცენაზედ კოცნა. ვენის რაიმუნდის თეატრის არტისტ-ქალმა ლეიტგოლდმა თავისის ქმრის სურვილისამებრ გააფრთხილა არტისტი რანცენბერგი, რომ სცენაზედ თამაშობის დროს კვლავ მას აღარ აკოცოს. მაგრამ რანცენგერმა ეს თხოვნა არ შეიწყნარა, იგი ვერ დაკმაყოფილდა მოჩვენებითის კოცნით და ლეიტგოლდმა თეატრს თავი დაანება. რაიმუნდის თეატრის დირექტორმა შეიწყნარა სურვილი, სამსახურიდგან განთავისუფლა და შემდეგი წერილი მისწერა თურმე ლეიტგოლდს:

«ძალიან ვსწუხვარ, რომ თქვენისთანა ნიჭიერს არტისტს ვკარგავ და ისიც შუა სეზონში; მაგრამ დავრწმუნდი, რომ თქვენ არ შეგიძლიანთ ღირსეულად დაიცვათ თქვენი არტისტული ნიჭი. როდესაც გათხოვება დააპირეთ, მე განგიცხადეთ, რომ ჩვენი პირობის წერილი შეუცვლელად დარჩებოდა და მეგონა, რომ ქმრის ხელშიაც ისეთივე თავისუფლება ექნებოდა თქვენს არტისტულს ნიჭს, როგორც წინად ეხლა-კი თქვენი ქმარი სცენაზედ კოცნას გიკრძალავთ! როდესაც-კი მონაწილეობას იღებთ წარმოდგენაში, ის მუდამ პირველს რიგში ზის და, როგორც მოახლოვდება სცენა, სადაც კოცნაა საჭირო, იგი სრულიად ვეღარ ისვენებს, საშინლად ბორგავს სავარძელში, მერე გაბრაზებული დგება და გარედ გარბის. თქვენც გაღელვებთ ქმრის ასეთი ქცევა, საკოცნელად მოახლოვებულს არტისტს ირიდებთ იმის მაგიერად, რომ აღტაცებით მიეგებოთ კოცნას, რომელსაც თვით პიესის შინაარსი თხოულობს; ამითი აბრაზებთ საზოგადოებას წ წარმოდგენის დროს აცხადებთ, რომ აღარ ვითამაშებო!.. მართალია თქვენს ქმარს ვერ გავამტყუნებ, მაგრამ ასეთი ყოფა-ქცევა სწორედ შეუძლებელია. სცენაზედ კოცნა, რომელსაც ათასი ადამიანი უყურებს, მხოლოდ მოსაჩვენებლად არის და აქ დასაძრახიც არა არის-რა, არავითარი დაფარული აზრი არ არსებობს. თუ დღეს ქმარი კოცნას გიკრძალავთ, ხვალ ხვევნას აღიკრძალავთ, ზეგ არტისტის მუხლებზედ დაჯდომას და სხვა. არტისტულისა და პირადის თავისუფლების შეზღუდვას სცენაზედ ის მოსდევს, რომ არტისტს ქალს აღარ შეუძლიან როლის შესრულება და თქვენ, ქალბატონო, დიად ძალიან პატიოსნურად იქცევით, რომ სცენას თავს ანებებთ“.

ამ საგნის გამო ჟურნალ-გაზეთებმაც დაიწყეს ლაპარაკი. შემდეგ ვენისა, ბერლინისა და პარისის არტისტ-ქალებმაც გამოსთქვეს თავისი აზრი. გამოთქმული იყო სხვა-და-სხვა მსჯელობა: ერთნი კოცნას სცენისათვის საჭირო გარემოებად სთვლიდნენ; სხვები სრულიად უარს-ჰყოფდნენ თვით ამ აზრსაც-კი; მესამენი დასასრულ, რომელთა აზრსაც გამოჩენილი პოლინა ლუკკაც შეუერთდა, ამ კოცნას თვალთ-მაქც კოცნად სთვლიან. შევნიშნავთ, რომ ყველა ფერიებმა (ამათ შორის ანტონიეტტა დელ-ერამაც) ის აზრი წარმოსთქვეს, რომ „ნამდვილს ხელოვნებას ამისთანა წვრილმანი აზრები არ უნდა ჰქონდეს სახეში, ან არა და—ის, რომ სცენაზედ კოცნისაგან ›არც თუ ვისმე დასთბება და არც შესცივაო‘‘. ჟოუდიკი ამბობს, სცენაზედ კოცნა, უტყვიოდ გატენილ თოფის სროლას ემზგავსებაო“, თუმცა ამავ დროს მას სჯერა, რომ იგივ კოცნა ქმარსა და ყველა ნათესავს ეჯავრება და იმათ მხრივ ამ კოცნის აღკრძალვა ადვილი წარმოსადგენიაო („ნოვოე ვრემია)“.

## უცხოეთი

—

ერთს ფრანგულს გაზეთში გამოანგარიშებულია, რამდენი ჯარი ჰყავს ახლა ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოებს. მშვიდობიანობის დროს მთელს ევროპაში ითვლება 3.700,000 ჯარის კაცი, ხოლო ომიანობის დროს ჯარის რაოდენობა მილიციებით ემატება 22 მილიონს კაცს. ეს ჯარები ასე განაწილდებიან:

ავსტრი-უნგრეთს ჰყავს მშვიდობიანობის დროს 309,000, ომიანობის დროს 1.427,000; არტილერია შესდგება 1,912 ზარბაზნებიდგან. ბელგიას—მშვიდობიანობის დროს ჰყავს 52,000, ომიანობის—140,000; არტილერია შეიცავს 204 ზარბაზანს. ბოლგარიის ჯარი მშვიდობიანობის დროს შესდგება 34,400 კაცისაგან, ომიანობის დროს 125,000; არტილერია შეიცავს 288 ზარბაზანს. გერმანიის ჯარი მშვიდობიანობის დროს ადის 557,000 კაცამდე, ომიანობის დროს-კი 4,300,000; არტილერია შესდგება 2,964 ზარბაზნებიდგან. დანიას მშვიდობიანობის დროს ჰყავს — 14,000 კაცი, ომიანობის დროს 64,000, ზარბაზნებთა რიცხვი ასამდე ადის. ინგლისს მშვიდობიანობის დროს ჰყავს 211,000, ომიანობის დროს—624,000 კაცი; ზარბაზნებთა რიცხვი ექვსასია. ისპანიას მშვიდობიანობის დროს 100,000 კაცი ჰყავს, ომიანობის დროს-კი—700,000; ზარბაზნების რიცხვი რვაასია. იტალიის ჯარის რიცხვი მშვიდობიანობის დროს 220,000, ომიანობის დროს 3.000,000 კაცი; ზარბაზნები—1,620. ნორვეგიას მშვიდობიანობის დროს — 5,000 კაცი, ომიანობისას-კი 80,000; ზარბაზანთა რიცხვია 200. პორტუგალიას მშვიდობიანობის დროს 25,000 კაცი ჰყავს, ომიანობისას-კი 150,000; არტილერია შესდგება 264 ზარბაზნებიდგან. რუსეთს მშვიდობიანობის დროს 1.020,000 ჯარის-კაცი ჰყავს, ომიანობის დროს 4.500,000, არტილერია შესდგება 3,360 ზარბაზნებიდგან. რუმინიის მშვიდობიანობის დროს ჯარის კაცთა რიცხვი ჰყავს 47.000, ომიანობის დროს 300,000; ზარბაზანი—430. სერბიას მშვიდობიანობის დროს ჰყავს 12,000 კაცი, ომიანობის დროს 135.000; ზარბაზნების რიცხვი ოთხასია. ოსმალეთს მშვიდობიანობის დროს —170.000 კაცი, ომიანობის დროს —1.100.000 და 2500 ზარბაზანი. საფრანგეთს მშვიდობიანობის დროს—572.000, ომიანობის—4.000,000; ზარბაზნების რიცხვი 2880. შვეციას ჰყავს მშვიდობიანობის დროს 38,000, ომიანობის—100,000; ზარბაზანთა რიცხვი—228. შვეიცარიას მშვიდობიანობისა და ომიანობის დროსაც 206,000 ჯარის-კაცი ჰყავს; არტილერია შესდგება 508 ზარბაზნიდგან. ჩერნოგორიის ჯარი მშვიდობიანობის დროს მხოლოდ 100 კაცისაგან შესდგება, ომიანობის დროს ეს პატარა ქვეყანა გამოიყვანს 35.000 კაცს; ზარბაზანთა რიცხვი ასია.

ჰოლანდიის ჯარი მშვიდობიანობის დროს ადის 24,000 კაცამდე, ომიანობის დროს—316,000; არტილერია შეიცავს 120 ზარბაზანს.

ამ აღრიცხვის მიხედვით ევროპის ,,სამთა კავშირს‘‘ (ავსტრი-უნგრეთს, იტალიას და გერმანიას) მშვიდობიანობის დროს 1,090,000 კაცი ჰყავს, ომიანობის დროს-კი 8.700000; არტილერია შეიცავს 6.500 ზარბაზანს.

—

**აღმოსავლეთის ომი.** ჩინეთის იმპერატორი, როგორც «Standard»-ი ამბობს, მხოლოდ მაშინ მიჰმართავს იაპონიას მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად, როდესაც იაპონელები პეკინს დაიჭერენ. იაპონიის პირობები-კი ეხლა შეიცვალნენ, მაგრამ საიდუმლოდ ინახება და უცხო სახელმწიფოებს უმალავენ მათ. ეს კია რომ იაპონია ეხლა სულ იმის გამოკითხვაშია, რამდენს გადაიხდის ჩინეთი კონტრიბუციას და ან რომელ მიწებს დაუთმობს მას.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ვიკტორიენ სარდუმ ეხლა ხანად დაასრულა თავისი პიესა ,,დონკისოტი“,

რომელსაც რამდენსამე წელიწადს სწერდა. პარიზის თეატრ Qhatelet-ში დიდის გულ-მოდგინებით შეუდგნენ ამ პიესის წარმოსადგენად მომზადებას.

—

საფრანგეთის პრეზიდენტად ნამყოფი კაზიმირ პერიე ყოველის თვის გასულს ურიგებდა ხოლმე ღარიბებს თავისის ჯამაგირიდგან განაჩენს ფულს, რომელსაც იგი ელისეს სასახლიდან სხვა-და სხვა ხარჯისათვის იღებდა. ამ ფულიდგან კაზიმირ პერიე ერთს გროშსაც არ იტოვებდა თავისთვის. გარდა ამისა 1894 წლის 31 დეკემბერს თავისი საკუთარი ფული დაურიგა ღარიბებს 200,000 ფრანკი (73,400 მანეთი).

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

გაზ. „მოსკ. ვედ.“ ძლიერ ემდურის ინგლისის აწინდელს ლიბერალურ სამინისტროს; ემდურის ჯერ იმიტომ რომ იგი ლიბერალურია და მერე კიდევ იმიტომ, რომ მაგ სამინისტროს და საზოგადოდ ინგლისურს ჟურნალ-გაზეთობას ერთი ახირებული აზრი შეუდგენიათ ეგრედ წოდებულს „სომხების საქმეზედ“ და სომეხთა კათალიკოსზედ.

როგორც ყოველთვის „მოს. ვედ.“-ი ეხლაც სიმართლის აღდგენას სცდილობს და აი, ამ განზრახვამ რა სტრიქონები დააწერინა მას გაზეთის მე-35 ნომერში.

იმ ცრუ ხმას, რომელსაც ავრცელებდნენ აქამდის ინგლისში, ესლა ერთი კიდევ დაუმატეს ინგლისურმა ჟურნალ-გაზეთებმა. ვითომ სომეხთა კათალიკოსს განზრახვა ჰქონდეს პეტერბურგში მთავრობას წინადადება მისცეს და უცხო სახელმწიფოებს სადიპლომატო ნოტით მიჰმართოსო.

რადგან კათალიკოსი სულიერი წინამძღოლია არა მარტო რუსეთის სომხებისა, არამედ სპარსეთისა და ოსმალოსიც-კი, იქნება ზოგს ეგონის, ვითომ კათალიკოსს ნება აქვს უცხო სახელმწიფოებს მიჰმართოს ხოლმე; ეს იმისთვის აღკრძალულია, რადგან იგი რუსეთის ქვეშევრდომია. შესაძლებელია, რომ სომხების პატრიოტებს, რადგან მათ სომხეთის მეფე არა ჰყავთ, პოლიტიკურ ცხოვრებაში კათალიკოსი სომხების წარმომადგენელი ჰგონიათ, მაგრამ თვით ეჩმიაწინის კათალიკოსი ვერ იფიქრებს ამას, რადგან მას კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული მოვალეობა რუსეთის ქვეშევრდომისა.

## ადამიანის სიცოცხლე.

ლეგენდა

(თარგმანი).

„დიდ არს ალლაჰი, და საქმენი მისნი გაუგებარია ჩვენთვის, —ასე დაიწყო ლაპარაკი პატივცემულმა მოხუცმა მოლლამ ნასრედინ-ეფენდმა. ალლაჰი მხოლოდ უსაზღვრო მოწყალებით შეგვინდობს ხოლმე ცოდვას, რადგანაც, როცა კაცი გააჩინა, მაშინვე იცოდა, რის გამოსადეგიც იქმნებოდა იგი. აი ყური დამიგდე შვილო, რა გამიგონია მე მოხუცებულებისაგან, როცა ჯერ ისევ ყმაწვილი ვიყავი შესახებ იმისა, რად სცოცხლობს ასე ბევრს ადამიანი“...

ნასრედინმა განაგრძო: „გააჩინა ალლაჰმა ქვეყანა, მოაწყო ყველაფერი, როგორც რიგი და წესი მოითხოვდა, შემდეგ გააჩინა ადამიანიც და 30 წლის სიცოცხლე დაუნიშნა. ადამიანმა ალლაჰს მადლობა გადაუხადა წყალობისათვის და წავიდა. შემდეგ გააჩინა ალლაჰმა სახედარი და 20 წლის სიცოცხლე დაუნიშნა. მაგრამ სახედარი შეევედრა: ოჰ, ყოვლად შემძლებელო ალლაჰო, რად მაძლევ მაგდენის ხნის სიცოცხლეს? ადამიანი ზურგზედ უნდა შემაჯდეს, მცემოს, მტანჯოს, მშიერ-მწყურვალს სული ამომართვას, —არა, უფალო, დროს ნუ დამინიშნავ, იქმნება ადრეც მოვკვდე“.

დასთანხმდა ალლაჰი. გაიგონა ეს ადამიანმა, მივიდა ალლაჰთან და უთხრა: „ოჰ, ყოვლად შემძლებელო ალლაჰო! სახედარს ხომ წაართვი 20 წელი; ეგ 20 წელიწადი მე მაჩუქე. ალლაჰს ხმა არ ამოუღია. აიღო და აჩუქა. დაბრუნდა შინ გახარებული ადამიანი. მერე ალაჰმა ძაღლი გააჩინა და 20 წლის სიცოცხლე დაუნიშნა, მაგრამ ძაღლიც უარზედ დადგა: „არა, არ მინდა მაგდენი ხნის სიცოცხლე. პატრონს უნდა ვემსახურო. სახლსა, კარსა და მის საჩრჩიაბადებელს ვუდარაჯო და სამაგიეროდ პატრონმა ცემა-ტყეპით და შიმშილით უნდა მომკლას. როცა დავბერდები, გამაგდებს და სადმე ორმოში უნდა ამომივიდეს სული. გევედრები, უფალო! ჩამომართვი ეგ 20 წელი“.

დასთანხმდა ალლაჰი. მოვიდა ადამიანი და კვლავ სთხოვა ძაღლის სიცოცხლე მე მაჩუქეო. გაუკვირდა ალლაჰს სიხარბე ადამიანისა, მაგრამ ძაღლის სიცოცხლეც მას უწყალობა. მერე ალლაჰმა მაიმუნი გააჩინა და ის იყო 30 წლის სიცოცხლე უნდა მიეცა, მაგრამ მაიმუნი ისე საშინლად დაიღმიჭა, რომ ალლაჰმა ჰკითხა, რა დაგემართაო. „არ მინდა მაგდენი ხნის სიცოცხლე, არა, —უპასუხა მაიმუნმა, ვიცი, რაც მომელის: დამიჭერს ადამიანი, თოკს მომაბამს, ქუჩა ქუჩა დამატარებს და მათამაშებს და როცა დავბერდები, შიმშილით სულს ამომართმევს. შემიბრალე.“ დასთანხმდა ალლაჰი. კვლავ მივიდა ადამიანი და სთხოვა, მაიმუნის სიცოცხლეც მაჩუქეო. გაეცინა ალლაჰს, მაგრამ მაიმუნის სიცოცხლეც უბოძა“.

მოხუცი მოლლა გაჩუმდა და ღიმილით დააშტერა თავისი გონიერი თვალები.

— მერე, რას ნიშნავს ყველა ეგ, ვკითხე მოლლას.

— რას ნიშნავს? აბა ყური დამიგდე:

„ადამიანი 30 წლამდე არხეინად ცხოვრობს, არაფერი ადარდებს, რასაც მოიგებს, შესჭამს კიდეც, არა ენაღვლება-რა, არის თავისთვის უდარდელად. სიცოცხლე ჩალად არ უღირს. მერე დადგება ადამიანისათვის ის წლები, რომელიც სახედარს წაართვა. ადამიანიც შრომობს, მუშაობს სახედარივით, სცდილობს, სიბერის დროს ულუკმა-პუროდ არ დარჩეს და ამ ჯაფაში გაივლის 20 წელიწადი. მერე ძაღლის წლები დადგება. ადამიანი უფრთხილდება, დარაჯობს იმას, რაც სახედარის წლებში შეიძინა, ეშინიან არავინ არაფერი მოჰპაროსო, არც თითონა სჭამს, არც სხვას აძლევს. დადგება მაიმუნის წლებიც. ადამიანი დამახინჯდება, სიბერისაგან კანკალებს და ევედრება ალლაჰს, მალე სიკვდილი მაღირსეო. თითონაც აღარ უნდა მეტი სიცოცხლე“...

აი, შვილო, რა არის ადამიანის სიცოცხლე. ახლა ახალგაზდა ხარ, ჰხარობ შენთვის, მომავალი არ გაწუხებს; მოვა დრო და სახედარივით შრომას შეუდგები, მერე ძაღლივით უდარაჯებ ნაშრომ-ნაღვაწსა და ბოლოს მაიმუნად იქცევი“.

მშვიდობით.

ნ—ნ.

## გაზართობა

—

ამ ოცდა რვა წლის წინად, ახალს წელიწადს დღეს, წირვა რომ გამოვიდა, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, შიგნით გალავანში კაცებით, მსხლით, კომშით, ჩურჩხელის ნაჭრით მილოცვა მოლოცვა და სხვათა შორის, აზნაურებიც იყვნენ იქ. ერთის აზნაურის ცოლმა ივლიტამ ვერ იცნო ერთი გლეხი, თავისი ძმა ეგონა, საშკარ აკოცა და თან უსაყვედურა: რატომ არ გვნახე, ან დღეს აქ რამ მოგიყვანაო.

— ქალბატონო, მე დიდი ხანია აქ გახლავარო.

— ბიჭო, შენ ვინ ხარ, შე მ... ჩემი ძმა მეგონე, თვარა ბიჭს როგორ ვაკოცებდიო.

საწყალს გლეხს თავს-ზარი დაეცა როცა სხვა აზნაურებმა გაიგეს, იმათ კიდევ უარესი დღე დააყენეს.

ბატონებო, მე რა დამიშავებია, ქალბატონმა ინება ჩემი კოცნა, მე-კი არ მიკოცნია, მხოლოდ გაშლი რომ მიბოძა, ხელზედ ვაკოცეო —აბა მე რა დამნაშავე ვარო.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

I

„ივერიის“ 30 №-ში ჟურნალ-გაზეთების ნარკვევში წავიკითხეთ შავი ზღვის ნაპირა მდებარე ადგილების შესახებ, სადაც ბევრი თავისუფალი მამული ყოფილა, რომელზედაც შეიძლება უმამულო ხალხი დასახლდესო.

კარგი და სასარგებლო იქნებაო, ამბობს ამ წერილის ავტორი, რომ შეეწეობა აღმოუჩინოთ უმამულოდ დარჩენილს ხალხს, რათა ამ თავისუფალს მამულზედ მოეწყობათ დასახლებაო. ამისთანა ხალხი, რომელთაც სრულიად მამული არა აქვს, ჩვენში ძალიან ბევრია, რომლებიც დიდის სიამოვნებით ისურვებენ იქ დასახლებას. ამის წინად რამდენიმე კაცი წავიდა შავის ზღვის ნაპირა ადგილების დასათვალიერებლად და ძალიან მოეწონათ. ეს კაცები ორასამდე კომლმა გაჰგზავნა თავისის ხარჯით. ეხლა საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ იციან ამ შემთხვევაში როგორ მოიქცნენ, ვის მიჰმართონ და რაგვარად, რომ ამ ადგილებში დასახლდნენ მოუხდეთ.

ვისთანაც მაღიან რჩევისთვის და წინამძღოლობისათვის, ყველა ბევრს ფულსა სთხოვს, ვექილობას გვაწყვეთო. ეს იმათ ძალიან ეძნელებათ; ამის გამო საქმეს ვერ აკეთებენ. კარგი იქნება, ვისაც გული შესტკივა ამ ხალხისათვის და ამ საქმისა იცის რამე, დაწვრილებითი ცნობა მოგვცეს „ივერიის“ შემწეობით, *) როგორ უნდა მოიქცეს კაცი ამ შემთხვევაში, თხოვნა ვის უნდა მიართვან და რა გვარად. აი ეს შემწეობა მოგვეცით აი მოკლე ხანში, გვეცნობეთ უმეღავერი; შემდეგ ადვილად გაკეთდება საქმე.

ალექსანდრე დავითაშვილი.

*) რედაქცია საჭიროდ ჰრაცხს გამოაცხადოს, რომ სიამოვნებით დაუთმობს ალაგს გაზეთში ყოველს ცნობას ზემოხსენებულის საგნის შესახებ.

II

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთ „ივერიის“ საშუალებით გამოვუცხადოთ უგულითადესი მადლობა „ივერიის“, «მოამბის», „კვალის“ „მწყემსისა“ და „ნოვოე ობოზრენიე“-ს რედაქციებს, რომელნიც გასულ 1894 წ. განმავლობაში უფასოდ გვიგზავნიდნენ თავიანთ გამოცემათ, რითაც გვაძლევდნენ საშუალებას თვალ-ყური გვედევნებინა ჩვენის ცხოვრების მიმდინარეობისათვის. სრული იმედი გვაქვს პატივცემულის რედაქციებისა, რომ ამ 1895 წ. განმავლობაშიაც გამოგვიგზავნიან თავიანთ გამოცემას.

ხარკოვის ქართველი სტუდენტები

III

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით შენიშვნა მივცე იმ წერილის ავტორს, რომლის წერილიც «ივერიის» მე № 24-ში იყო დაბეჭდილი.

ავტორი ამბობს, რომ სცენის მოყვარე ახალგაზდობამ წარმოადგინა გამართა ს. სუფსაში და წარმოდგენის გამგემ წარმოდგენისათვის სახლის დაქირავებაზე დაავალა აქაურს მცხოვრებს მ. გ—ძეს, რომლისათვისაც ფულიც მისცაო; მაგრამ მ. გ—ძემ სახლის პატრონის გასასტუმრებელი ფული ჩაიჯიბაო“.

ძლიერ მიკვირს, როგორ იკადრა ავტორმა მაგისთანა სიცრუის მოგონება! ის რომ ამბობს, გიგინეიშვილმა წარმოდგენის გამგესაგან სახლის პატრონის გადასაცემად მიღებული ფული თითონ ჩაიჯიბაო, ძლიერ ტყუილია. გიგინეიშვილი იძულებული იყო გამგესაგან მიღებული ფული უკანვე დაებრუნებინა გამგესათვის, რადგან სახლის პატრონი არ დასჯერდა ამ ფულს და მეტი მოსთხოვა გიგინეიშვილს.

ამ ნაირად, ავტორი ძლიერ ტყუილს ჰკადრულობს, ვითომც გიგინეიშვილს სახლის პატრონის გასასტუმრებელი ფული ჩაეჯიბოს; გიგინეიშვილმა არა თუ გამგესაგან სახლის პატრონის გასასტუმრებლად მიცემული ფული ჩაჯიბა, არამედ თავისი ფულიც დახარჯა, რომ სცენის მოყვარე ახალგაზდობისათვის ყოველივე შემწეობა მიეცა და მართლაც —რომ გიგინეიშვილი არ შესწეოდა ამხანაგობას, წარმოდგენა ვერც გამართებოდა სუფსაში.

გამგე.

## შემოწირულება.

ჩვენ მივიღეთ ოლღა კონსტანტინეს ასულის გუბელაძის მიერ დაბა კაგიზმანში შეკრებილი 25 მანეთი და ორი აბაზი იოსებ დავითაშვილის ძეგლისათვის. აი შემომწირველთა სია:

ოლღა გუბელაძისა 2 მ., ტიმოთე მენთეშა-შვილი 1 მ., მიხეილ გუბელაძე 1 მ., პეტრე ბრაილოვსკი 1 მ., იოსებ კალინინი 1 მ., გიორგი ანდრონიკოვი 1 მ., მარგალიტა ანდრონიკოვისა 1 მ., ზაქარია ანდრონიკოვი 1 მ., ნიკოლოზ ანდრონიკოვი 1 მ., ოთია მიქელაძე 3 მ., ალექსანდრე ჩიქოვანი 1 მ., როსტომ ჩიკოიძე 3 მ., მიხეილ უორდანოვი 1 მ., სოლომონ უკლებაშვილი 1 მ., გიგო შოტნიევი 1 მ., სოფიო გუბელაძე 50 კ., ნინო გუგუშვილისა 1 მ., სალვინა უკლებაშვილისა 50 კ., მიხაკო დუმბაძე 1 მ., კოტე კალანდარაშვილი 1 მ., ივანე თათარაძე 40 კ.

# დეპეშა

9 თებერვალი.

**პეტერბურგი.** „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს“ ნამდვილის და უტყუარის წყაროდგან ატყობინებენ, რომ სამზღვარ-გარეთის ჟურნალ-გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა იმის შესახებ, ვითომც ინგლისი და რუსეთი შუამდგომლობენ ჩინეთისა და იაპონიის შუაო, ნამდვილი არ არის. ორ მებრძოლთა შორის დიპლომატიური მონაწილეობის მიღება ჯერჯერობით სრულიადაც არ არის საჭირო, რადგანაც იაპონია უარს არ ამბობს მშვიდობიანობის ჩამოგდებაზედ და საზოგადოდ, არავითარი გადამეტებული პირობანიც არ წარუდგენია, არამედ წინ დახედულად ექცევა-რა რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენლების რჩევას, რომელნიც თავისს მხრივ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების თანხმად ჰმოქმედობენ; იაპონიამ ამ ბოლო დროს უკვე გამოაცხადა, რომ შიდა ჩინეთისაკენ აღარ გავგზავნით ჯარებს, ვიდრე მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად ჩინეთიდგან გამოგზავნილს დესპანის სიტყვას არ მოვისმენთო.

**ბერლინი.** პარლამენტმა შეიწყნარა პროექტი, რომლითაც თხოულობდნენ იეზუიტების განდევნის კანონის შეცვლას.

**სოფია.** ნამდვილის წყაროდგან იუწყებიან, რომ ცანკოვის მიერ პრინცის ნახვას არავითარი შედეგი არ მოჰყვაო. პრინცს არ მიუღია ცანკოვის პროგრამა, რომლითაც რუსეთთან შერიგებას თხოულობდა.

**ლონდონი.** ჰონ კონგიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ფორმოზის კუძულზედ თოფის წამლის საწყობი აფეთქებულა; ამ აფეთქების დროს 2,000 კაცი მომკვდარა.

ტოკიოდგან დეპეშითვე იუწყებიან, რომ სამხედრო საქმისთვის საჭირო კრედიტმა 10-დგან 100 მილ. იენამდის აიწია. თუ ვინიცობაა ეს კრედიტი დამტკიცდა, მაშინ საზოგადო ჯამი სამხედრო საჭიროებისათვის იაპონიის მიერ დახარჯულის ფულისა 250 მილიონამდის ავაო.

Times-ს ატყობინებენ ქაირიდგან, რომ იქაური მკვიდრნი ევროპიელებს მუქარით ექცევიანო. ასეთი ნიშნებიც არის, რომ 1882 წლის სისხლის ღვრა გაახსენდება კაცსაო.

10 თებერვალი:

**პეტერბურგი.** სამეურნეო საბჭომ სასურველად დაინახა, რომ სეტყვისაგან დაზღვევის საქმე მთავრობის ხელში იყოს, ამ საქმეში მონაწილეობა მიიღონ ერობათაც და საფუძვლიანად შემუშავებული სეტყვისაგან დაზღვევის წესდების პროექტი განსახილველად ერობათ გარდაეცეთ.

„სავაჭრო სამრეწველო გაზეთში“ გამოცხადებულია წეს-რიგი, თუ რა წესით შეეძლებათ სესხის აღება ბამბის მომყვანთ.

**ვენა.** გაზეთ „Tagebl“-ში დაბეჭდილია ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრის ნაჩევიჩის წერილი ამ წერილით ნაჩევიჩი სრულებით უარსა ჰყოფს ცანკოვისა და პრინცის და-

ხლოვებას და აგრეთვე იმ ხმას, რომ ვითომც ბოლგარიის პოლიტიკა რუსეთთან შერიგების გზას დასდგომოდეს.

**ლონდონი.** ტიან-ძინიდგან იუწყებიან, რომ გენერლები ტაო-ტაიკუპი და იეხოიკაო დააპატიმრეს და ახლო მომავალში დასჯიან სიკვდილით, რადგან პორტარტური მტრებს ჩაუგდეს ხელშიო.

11 თებერვალი.

**ბერლინი.** გუშინ საღამოთი იმპერატორი რუსეთის საელჩოში მობრძანდა, სადაც დაუხვდა და მიესალმა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის-ძე. შემდეგ იმპერატორი მის იმპერატორებითს უმაღლესობასთან ერთად დარბაზში გაემგზავრა, სადაც ვახშამი იყო მომზადებული. 11 საათზედ დიდი მთავარი გამოეთხოვა მისს უდიდებულესობას და პეტერბურგს წავიდა.

**ვენა.** დეპუტატთა პარლამენტში, იმ კამათობის დროს, რომელიც გამოიწვია ღალატის შესახებ დასტამბულმა წერილმა, სასჯულო საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ სახელმწიფომ სასტიკი საშუალებანი უნდა იხმაროს როგორც გარეშე ისე შინაურის მტრების თავიდგან ასაცილებლადაო. შემდეგ შეეხო-რა იმ წერილის რედაქციას, რომლითაც შეურაცხყოფილია მისი უდიდებულესობა, მინისტრმა აღნიშნა, რომ უნდა სასტიკად იქმნენ დასჯილნი, რადგანაც ბედ-იღბალი იმ გვარის სახელმწიფოსი, როგორიც არის ავსტრია მჭიდროდ დაკავშირებულია ხელმწიფისა და სამეფო გვარეულობასთანაო.

პარლამენტმა დაადგინა: «ისინი, ვინც შეურაცხჰყოფენ უცხო სახელმწიფოთა ხელმწიფეებს, სამართალში უნდა იქმნენ მიცემულნი დიპლომატიურ წარმომადგენელთა მოთხოვნილებითაო».

12 თებერვალი.

**პეტერბურგი.** პარასკევს, 10 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორს სამეურნეო საბჭოს წევრნი წარუდგნენ.

**პარიზი.** 11 თებერვალს, (ჰავასის სააგენტო) პოლიციას შეუტყვია, რომ პროვინციაში დიდძალი ასაფეთქებელი წამალი მოუპარავთ და პარისის ახლო-მახლო ადგილებში დაუმალავთ.

**ბერლინი.** ბრანდებურგის სეიმის სადილზედ იმპერატორმა სთქვა, რომ ჩვენს დროში ძალიან არიან დაინტერესებულნი გლეხთა ცხოვრების ვითარებითაო, და ამას დაუმატა ის, რომ იგი იმედოვნებს, ბევრი-რამ შეჰქმნას გლეხთა სასარგებლოდ, რასაც მოვანდომებ მთელს ჩემს ძალ-ღონესაო, მაგრამ ამავე დროს წინადვე გააფრთხილა ყველანი; გლეხობას ნუ ექმნება იმედი, რომ ყველა მათი სურვილი აღსრულებული იქმნება, რადგანაც ბევრი მათგანი, მხოლოდ ოცნება არის; მე ვეცდები, რომ ჩვენს მამულში ყველა წოდებას ერთგვარი კეთილ-დღეობა ჰქონდეს მინიჭებული და ნურც თუ ვინმე მოინდომებს სხვის ბატონობასაო.

11 თებერვალი.

**ვენა.** უსაქმოდ დარჩენილმა მუშებმა დღეს ნება-რთვა მიიღეს ერთად შეყრილიყვნენ. რამდენჯერმე სცადეს დემონსტრაციის გამართვა, მაგრამ პოლიცია უშლიდა. რამდენიმე შეიპყრეს.

სასამართლომ გაამართლა სარრუშაპირო; დანარჩენნი დამნაშავედ იცნო და დაპატიმრება მიუსაჯა: ნუხემ შაპიროსა და მუნშ შაუნგანტერს 6 წლით, არონ ფრიშლინგს 3 წლით და რომან გერცს 4 წლით.

**ლონდონი.** ლორდ როზბერი უნფლუენციათი გახდა ავად.

# განცხადებანი

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

## ისყიდება

საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში ი. მურადოვისა ქუთაისში პირველის ხარისხის ყოველგვარი რვეულები—ასი 3 მან.

მეორე ხარისხისა—2 მან. და აგრეთვე სხვა-და-სხვა ნივთები იაფად.

(3—983—1)

## ისყიდება

იაფ ფასად ხის ნახშირი, ვორობიოვის ქარხნისა. საწყობი შემდეგს ადგილებში აქვს: მეიდანი, სახლი ხერედინოვისა; იარმუკის ბაზარში, სასტუმრო „ქუთაისის“ ქვეშ; ვერა, სამგზავრო ფოსტის გვერდით; ავლაბარში, ვარდის მეიდანზედ; ჩუღურეთი, სასწვრის პირდაპირ; ავჭალის ქუჩასა, და ნემეცების ქუჩაზედ.

ახალის გადიდებულის ტომრებით, ოთხიდგან $4^1/_2$-ს ფუთამდის, ტომარა 1 მან. და 15 კაპ.

(3—3)

## ცხოვრება

### შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

განჯის მიხეილის სახელობის სასწავლებელში ისყიდება **სადი აბრეშუმის ჭიის თესლი**, მისხალი 60 კ.

(3—954—2)

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა | „ | 50 |
| ვისრამიანი | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა | „ | 15 |
| ქილილა და დამანა | 3 | |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა | „ | 15 |
| მარიამი | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა | „ | 60 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა | „ | 5 |

## ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები

### ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ამ მიმდინარე დიდ-მარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ საჭმელში სახმარებლად: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირ- (кастор. масло), სალამპრო და მოხარშული დასაფერად, გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების საპონი: ტყვიისა, მარმარილოსი და ზეთისა. ბოთლობით ისყიდება კავკასიის სამეურნეო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ ჯოვანთან, სახლი დობრჟანსკისა და ვორონცოვის ძეგლთან, დარჩო ბაქაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრე—ნეველის ეკკლესიის პირდაპირ და ჩალმაიანცთან, სახლი № 1, პანასევიჩის ქუჩა.

წვრილ-წვრილად სყიდვა შეიძლება საკუთარს მაღაზიებში მიხეილის ქუჩაზედ, სახლი კარალოვისა, ძეგლთან, იარმუკაზედ ბუღდანოვის სახლი, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა, ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და ოლღას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლი.

ერთიანად სყიდვა შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი.

საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის საკვები ჩენჩო.

(10—982—1).

## „ივერია“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოოზის ქუჩაზე, 21.

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება ვალერიან გუნიას მიერ შედგენილი და გამოცემული

## საქართველოს კალენდარი 1895 წ.

წიგნი შეიცავს 600 მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით, ფასი 50 კაპ.

## უბის წიგნი 1895 წ.

მშვენიერს ყდაში და ყარანდაშით, ფასი 30 კაპ.

## სათაჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.

დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული, ფასი 10 კაპ.

## სახალხო კალენდარი 1895 წ.

დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული, ფასი 5 კაპ.

## ქართული მიწერ-მოწერის კრებული

სახალხო გამოცემა, ფასი 15 კაპ.

Дозвлено цензурою, Тифлисъ 13-го Февраля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.